

შპს „პროგრედი“-ის
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს პროგრფი				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
საანგარიშგებო თარიღი				
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	გენიშვანა
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	92347	5442	24932	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	70862	74197	61555	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი ს.	12430	9332	55100	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები				
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა				
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	17706	9825	6592	3.2
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	323651	342075	219005	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1722802	936062	468671	
სულ აქტივები	2239798	1376933	835855	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	43650	45957	19116	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	43152	43643	40250	
საგადასახადო ვალდებულებები	37249	30988	39016	
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	5830	97460	56158	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	970881	358838	99062	3.4
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებ				
სხვა ვალდებულებები	24673	8702	2019	
სულ ვალდებულებები	1125435	585588	255621	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	2800	2800	2800	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	1111563	788545	577434	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	1114363	791345	580234	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებ	2239798	1376933	835855	
სულ მოკლევადიანი აქტივები	100998	98796	148179	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	154554	218048	154540	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.				
დირექტორი: _____				
ნარგიზ გვალია				

შპს "პროგრესი"				
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება				
		ერთეული: 1 GEL		
	საანგარიშგებო პერიოდი			
	2022	2021	შენიშვნა	
ნეტო ამონაგები	1854192	1802231	3.5	
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან				
- მომსახურების გაწევიდან	1854192	1802231		
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან				
- სხვა ამონაგები		3390		
გაყიდვების თვითღირებულება				
საერთო მოგება	1854192	1805621		
სხვა საოპერაციო შემოსავალი		9124		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-929193	-878109		
ცვთა/ამორტიზაციის ხარჯი	-167011	-219143		
საპროცენტო შემოსავალი				
საპროცენტო ხარჯი	-28606	-17564		
იჯარის ხარჯი				
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-447264	-488818	3.6	
სულ საოპერაციო ხარჯები	-1572074	-1594510		
საოპერაციო მოგება	282118	211111		
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა				
მ.შ. - ფინანსური აქტივების				
- მარაგების				
- სხვა არაფინანსური აქტივების				
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.				
მიღებული დივიდენდები				
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	40900			
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციო	323018	211111		
მოგების გადასახადის ხარჯი				
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	323018	211111		
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი				
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზ.				
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)				
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:				
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	323018	211111		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	791345	580234		
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)				
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)				
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში				
კაპიტალის სხვა ცვლილებები				
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1114363	791345	3.7	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.				
დირექტორი: _____		ნარგიზ გვალია		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „პროგრედი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 1996 წლის 12 დეკემბერს, ქ.თბილისი, დიდუბის სასამართლოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია – 201948214, იურიდიული მისამართი – საქართველო, თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი N 123.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის პარტნიორები არიან:

ნარგიზ გვალია (პ/ნ 01008001195) – 66%;

მინდია მინდელი (პ/ნ 01024011826) – 34%.

1.3. კომპანიის დირექტორია ნარგიზ გვალია (პ/ნ 01008001195)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარა.

1.5. კომპანიას ფილიალები არ აქვს. ასევე, კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი ან მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიაში დასაქმებულ პირთა საშუალო რიცხოვნობა 2022 წელს იყო 42 კაცი.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 01.01.2020 წ., თუმცა 2020 წლის გადაანგარიშება მოხდა 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების შედგენისას. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი – დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების

გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის რეალური ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის

მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული საბანკო ანგარიშებზე და სალაროში.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები – 25 წელი;

მანქანა-დანადგარები – 5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა – 4-5 წელი;

ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა – 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები – 5-10 წელი;

სხვა მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები – 1-2 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით – 10%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომელთათვის ეს დებულება ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან (სადაზღვევო კომპანიებისათვის – 2024 წლის 1 იანვრიდან).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2022 წელს: 1 USD=2.9137 ლარი; 1 EUR=3.0812 ლარი.

2021 წელს: 1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

3.1 ფული და ფულის ეკვივალენტები:		
	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	2547	3653
ლარი საბანკო ანგარიშებზე	89800	1789
სულ:	92347	5442

3.2. სხვა მოკლევადიანი აქტივები:

31.12.2022 წ. მდგომარეობით, კომპანიის სხვა მოკლევადიანი აქტივები შედგება:

წინასწარ გადახდილი გადასახადებისგან და მატერ.ფასეულობებისგან.

სულ: 17706 ლარი.

3.3. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2021 მდგომარეობით
შენიშვნები	1647533	801434	-86925	933024	573204	-105813	465633
დაუმთავრებელი შენიშვნები	75269	75269					
სულ:	1722802	876703	-86925	933024	0	0	465633
	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მიწა	3038	0	0	3038	0	0	3038
ოფისის აღჭურვილობა	54886	33545	-19253	40594	16614	-18819	42799
კომპიუტერული ტექნიკა	18142	9752	-4180	12570	8952	-2230	5848
ავეჯი	103274	6925	-14331	110680	72376	-10404	48708
სპეციალური ინსტრუმენტები და სხვა ინვენტარი	88648	42568	-23035	69114	79806	-38447	27755
ავტოტრანსპორტი	55663	-34167	-19287	109117	58652	-43430	93895
სულ:	323651	58623	-80086	345113	236400	-113330	222043

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

2022 წელს ძირითადი საშუალებებიდან გაიყიდა მსუბუქი ავტომობილი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

3.4. გრძელვადიანი ნასესხები სახსრები:

31.12.2022 წ. მდგომარეობით, კომპანიის გრძელვადიან ნასესხები სახსრები შეადგენდა 970881 ლარს ფიზიკური პირისაგან და ბანკიდან აღებულ სესხს.

3.5. ნეტო ამონაგები:

	2022 წლის მდგომარეობით	2021 წლის მდგომარეობით
იჯარებიდან მიღებული შემოსავალი	1854192	1802231
სულ:	1854192	1802231

3.6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა იჯარისა, შრომის ანაზღაურებისა, ცვეთისა და ამორტიზაციისა):

	2022 წელი
მიწოდების სხვა ხარჯები	(6 976)
სხვა საოპერაციო ხარჯები (კომუნალური)	(304 476)
საკანცელარიო ხარჯები	(1 684)
საწვავის ხარჯები	(7 843)
კომპიუტერის ხარჯები	(7 971)
სამეურნეო ხარჯები	(18 283)
კომუნიკაციის ხარჯები	(8 214)
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	(3 532)
სხვა საგადასახადო ხარჯები	(25 962)
საბანკო ხარჯები	(2 300)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(7 507)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(1 447)
სარემონტო ხარჯები	(28 665)
1000 ლარზე ნაკლები ღირებულების ძრ.საშუალება	(1 758)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(20 646)
სულ:	-447264

3.7. საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი და საკუთარი კაპიტალი

2022 წელს კომპანიის მოგებამ შეადგინა 323018 ლარი, რაც დაემატა წინა წლების გაუნაწილებელ მოგებას. 2022 წლის ბოლოს მდგომარეობით, გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენს 1111564 ლარს. ხოლო საწესდებო კაპიტალი 2800 ლარი. მოგების გადასახადის ხარჯი კომპანიას არ ჰქონია, რადგან 2022 წელს კომპანიას არ გაუნაწილებია დივიდენდები.

3.8. სასამართლო დავები

კომპანიას 2022 წლის განმავლობაში ჰქონდა სასამართლო დავა საიჯარო დავალიანებასთან დაკავშირებით. რომელიც არ დამთავრებულა და გრძელდება 2023 წელსაც.

3.9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში ისეთი საყურადღებო მოვლენები, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას, არ მომხდარა.

3.10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 30 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს "პროგრფი"

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2022	2021	
ნეტო ამონაგები	1854192	1802231	3.5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	1854192	1802231	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები		3390	
გაყიდვების თვითღირებულება			
საერთო მოგება	1854192	1805621	
სხვა საოპერაციო შემოსავალი		9124	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-929193	-878109	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-167011	-219143	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-28606	-17564	
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-447264	-488818	3.6
სულ საოპერაციო ხარჯები	-1572074	-1594510	
საოპერაციო მოგება	282118	211111	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადავ.			
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	40900		
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	323018	211111	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	323018	211111	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	323018	211111	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	791345	580234	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1114363	791345	3.7

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.

დირექტორი: _____



6. გვარამია

ნარგიზ გვარამია

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს პროგრესი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	92347	5442	24932	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	70862	74197	61555	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	12430	9332	55100	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები				
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა				
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	17706	9825	6592	3.2
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	323651	342075	219005	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1722802	936062	468671	
სულ აქტივები	2239798	1376933	835855	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	43650	45957	19116	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	43152	43643	40250	
საგადასახადო ვალდებულებები	37249	30988	39016	
გაშოუებული შემოსავალი				
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	5830	97460	56158	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	970881	358838	99062	3.4
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	24673	8702	2019	
სულ ვალდებულებები	1125435	585588	255621	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	2800	2800	2800	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	1111563	788545	577434	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	1114363	791345	580234	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2239798	1376933	835855	
სულ მოკლევადიანი აქტივები	100998	98796	148179	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	154554	218048	154540	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.

დირექტორი:  ნარგიზ გვალია

თანმხლები განმარტებითი ძალის მქონე აქტის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.